სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით შექმნილი კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის თანამშრომელთა ჯგუფის

სხდომის ოქმი

01 .06.2017 წელი

ქ. წყალტუბო

**სხდომას ესწრებოდნენ:** ჯგუფის უფროსი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი რიმა მარგიანი, ამავე სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი ლია გუგუსიანი, ამავე განყოფილების მთავარი სპეციალისტის მაია ჯანელიძის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის წამყვანი სპეციალისტი ნონა ბადირეიშვილი და ამავე სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლია გიორგობიანი - ჯგუფის მდივანი.

დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ი/მ „მაია ქუთათელაძე"-ს შორის 2017 წლის 01 ივნისის №93 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიღების შესახებ.

**მოისმინეს:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების მთავარი სპეციალისტი მაია ჯანელიძის ინფორმაცია, ი/მ „მაია ქუთათელაძე"-ს მიერ 2017 წლის 01 ივნისის დადებული №93 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების კერძოდ: ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ჩატარებული ღონისძიების (რომელიც გაიმართა მ/წლის 1 ივნისს) სახატავი მოწყობილობები (სახატავი ფურცლები და ფერადი ფანქრები) შესყიდვის მომსახურეობის შესრულებასა და გაწეული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების მოთხოვნას, საერთო თანხით 180 (ასოთხმოცი) ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** ჯგუფის უფროსმა რიმა მარგიანმა და ლია გუგუსიანმა.

**დაადგინეს:** მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული №93 ხელშეკრულების ფარგლებში, ი/მ „მაია ქუთათელაძე"-ს მიერ განხორციელებული მომსახურეობის მიღება და შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტის შედგენა.

მომხრე 5, წინააღმდეგი-0.

ჯგუფის უფროსი: რიმა მარგიანი

ჯგუფის წევრები: ლია გუგუსიანი

მაია ჯანელიძე

ნონა ბადირეიშვილი

სხდომის მდივანი: ლია გიორგობიანი

**მიღება-ჩაბარების**

**ა ქ ტ ი**

ქ. წყალტუბო 1 ივნისი 2017 წელი

ერთი მხრივ, ი/მ „მაია ქუთათელაძე“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით და მეორეს მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირების - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსის რიმა მარგიანის, იმავე სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსის ლია გუგუსანის, ამავე განყოფილების მთავარი სპეციალიატის მაია ჯანელიძის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტის ლია გიორგობიანის და წამყვანი სპეციალისტის ნონა ბადირეიშვილის სახით, 2017 წლის 1 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №93 ხელშეკრულების საფუძველზე, ვადგენთ მიღება - ჩაბარების აქტს მასზედ, რომ „მიმწოდებელმა“ ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა“ ჩაიბარა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისათვის სახატავი მოწყობილობები (სახატავი ფურცლები და ფერადი ფანქრები) ღირებულებით 180 (ასოთხმოცი) ლარი.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია თანაბარი ძალის ორ ეგზემპლიარად, ერთი გადაეცემა ი/მ „მაია ქუთათელაძეს“-ს , ხოლო მეორე რჩება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში.

ჩააბარა
ი/მ „მაია ქუთათელაძე“
53001021725
მაია ქუთათელაძე

ჩაიბარა

ჯგუფის უფროსი: რიმა მარგიანი

წევრი: მაია ჯანელიძე

ლია გუგუსანი

ნონა ბადირეიშვილი

მდივანი: ლია გიორგობიანი

№11
221274546